

სახალხო ბაზუი

სურათებიანი ჟამათება

გაზეთის № 741

დაგასტაჰის № 130

კვირა, 4 ნოემბერი 1912 წ.

პოემა პროზად

(ბოლღერიდან).
(Lec petit Poemes en prose)

I მწირო.

— ეი, უცნობო! ვინ გიყვარს ყველაზე უფრო: მამა, დე-
და, და თუ ძმა?
— არც დედა მყავს, არც მამა,
არც და, არც ძმა.
— მეგობრებში?
— თქვენ ისეთ სიტყვას ამბობთ,
რომელიც ჩემთვის დღევანდლამდე
გაუგებარია,
— სამშობლო?

— ნეტა ვიცოდე, დედა-მამის
რომელ ნაწილშია?
— მშვენიერება?
— მას კი შევიყვარებდი,
უკვდავი რომ იყოს.
— ოქრო?
— მე იგი ისევე მძულს, როგორც
თქვენ—ღმერთი.
— მაშ, ვინ და გიყვარს, საოცარო
მწირო?

— მე, ოხ, მე ის, ცის სივრცეში
რომ ვაცრეცილი, უბინაო ღრუბლები
დახეტიალობენ მხოლოდ ის ღრუბლები
მიყვარს.

II

ნავთ სადგური.

ნავთ-სადგური სწორედ მყუდრო
საფანეა ცხოვრებასთან ბრძოლით
მოქანცულ სული-სათვის. თვალუწვდენელი
ცისა გუმბათი, მარპარაილოს ღრუბელთა
კოშკები, ზღვის მოტივტივე ტალღათ
ლაშქარი — ეს ისეთი სურათია,
რომლის ქვრეტა თვალს არაოდეს არ მოსწყინდება.
გემების ანძათა ტყე ოდნავ ირყევა
ტალღებზე... და სულში რაღაც რითმიულ
მოძრაობას იწვევს.

ზოგი კი, ვისაც ცნობის მოყვარეობა
არ აწუხებს, ვინც უკვე მოქანცულა,
სიამოვნებით, ხან შურის თვალთაც,
შეჰყურებს იმათ, ვისაც ჯერ კიდევ
სამგზავროდ ძალა და სიმხნევე
შესწევს.

III

წვნიანი და ღრუბლები.


ჩემმა ღვთაებრივმა სატრფომ წვნიანი
მომართვა სწორედ მაშინ, როცა მე ლა ფანჯრიდან
უცხოთ ნაქანდაკებ ღრუ-

ბელთა, ცვალეზად ხუროთ-მოძღვრებას ვქვრეტდი,
და ვსტუმბობდი ამ ხელ შეუხლებელ მშვენიერების მზერით.


„ოხ, ეს ღრუბლები სწორედ ისევე მშვენიერია,
როგორც ჩემი სატრფოს იის ფერი თვალგებია!“

— „როდის ჩაცეცხლავთ თქვენ წვნიანს,
ღრუბლებით მოვაქრევ“?!

ბალკანეთის ომის გამო.



სტამბოლი და ბოსფორი.



სალონიკის ზღვის პირი. მარჯვინ ნაპირას მოსჩანს კოშკი, სადაც აბდულჰამიდი იყო დამწყვდელი.



სალონიკი. ქალაქის გალავანი.

შემოგსმა ჩემი საყვარლის ხრინწიანი,
საამური ხმა და ვიგრძენ რომ რიგიანი
მუშტი შემთავაზა ჩემმა ღვთაებამ...

IV

მხატვრის სურვილი.

ადამიანი უბედურია, მაგრამ ის მხატვარი,
რომლის სულსაც სურვილები ასულდგმულებს
სწორედ რომ ბედნიერია.

მინდა გამოგსახო ის, რომელიც ასე
იშვიათად მეჩვენებოდა ცხოვრების
ბილიკზე და ისევე ჰქრებოდა,
როგორც ჰქრება, მშვენიერი სანახაობა,
რომელსაც მგზავრი ბნელ ღამეში
უკან სტოვებს.

ოხ, რამდენი ხანია რაც იგი განქრალა...

იგი მშვენიერზე უმშვენიერესია! — იგი თვალ წარმტაცია.

მისი თვალელები — ეს ორი — შავად
გამომზირალი სიღრმეა, რომელშიაც
იღუმალის სახით გაივლებს ხოლმე
ტრფობის ნაპერწყალი.

მათ შავ მზეს შევადარებდი, შავი
მნათობის წარმოდგენა რომ შეიძლებოდა,
შავი მნათობის, რომელიც აფრქვევს
ბედნიერების უცხო ნაკადულს.

მაგრამ არა, იგი უფრო მთვარეს
მომავანებს, მაგრამ იდილიურ მთვარეს
კი არა, რომელიც ახლად ჯვარ დაწერილ
გულ-ცივ ქალწულს მაგონებს, არამედ
იმას, რომელიც ქარიშხლიან, უვარსკვლავო
ღამეში ოდნავ გამოკრთება ხოლმე
სწრაფად მიმცურავ ღრუბელთა
ღენაქით.

არა, იმ მშვიდობიან, წყნარ მთვარეს,
რომელიც მყუდროების მოყვარულ
ადამიანებს ესიზრმებათ თავიანთ უცოდველ
სიზმრებში, არამედ ცის მკერდს
მოგლეჯილ მთვარეს, რომელსაც
ფსალთის ჯამბაზები ნამიან ბალახზე
აქევიებდნენ.

მისი პაწია შუბლი მის რკინის ხასიათს
ამოწყებს, მის სისხლის მსმელ ბუნებას
ცხადად ღალადებს.

მისი მარჯნის ტუჩები მომაგონებს ლცხო ყვავილს ცეცხლის მფრქვეველ მთაზე ტურფად გადაშლილს. არიან ქალები, რომელნიც გსურს დაიმორჩილო, დასტკბე მათი ტანით, იგი კი იწვევს საოცარ სურვილს, რომ მისმა ჰერეტამ მოგსპოს, ჩაგფერფლოს.


V
დაითვერით!..

თუ გინდათ დროთა სიმძიმემ წელში არ გაგღუნოს, წელში არ მოგხაროს არსებობის სამსალამ,—დაითვერით... ვინაი-

გალკანეთის ომის გამო.



ლულე-ბურგასთან ხელ-ჩართული ბრძოლა
ბულგარელებისა და ოსმალებისა.



ათონი. ზოგრაფის მონასტერი.

დან იმისთვის რომ ყოფნის სიმწარე სრულებით არ იგრძნოთ, საჭიროა მუდამ მთვრალი იყოთ.

მაგრამ რითი? ღვინით, პოეზიით, ბოროტებით? რითაც გნებავთ, მხოლოდ დათვერით კი.

სადაც კი განოფიზოდეთ, ხეობაში, თუ მაღალ ბქეებიან სასახლის კიბეზე, საკუთარ ოთახში, თუ უღრან ტყეში, წამსვე ჰკითხეთ ქარს, ტალღას, ვარსკვლავთა ხომლს, ფრინველთ გუნდს, საათს, ყველაფერს რაც კი მოძრაობს. ფიქრობს, მღერის, — ჰკითხეთ: რა დროა?

მთვარეც, ვარსკვლავიც, ტალღაც, გრივალიც ყველა გიპასუხებთ: „დათრობისა“.

რომ დროის ყურმოჭრილი მონა არ იყო, საჭიროა მუდამ მთვრალი იყო. ღვინით, პოეზიით, სიკეთით თუ ბოროტებით, სულ ერთია ოღონდ დათვერით, რომ არ გაგტეხოს დროის გრივალმა.

VI
მათხოვრის თვალები.


გინდათ გაიგოთ რად არ მიყვარს? ექვი არ არის ამის გაგება უფრო გაგიძნელებათ, ვიდრე მე—ამის განმარტება. თქვენ აკი საუკეთესო მაგალითი ხართ წმინდა ქალური გულქვაობისა.

მთელი დღე ერთად გავატარეთ. მე ეს დღე ძლიერ მოკლეთ მეჩვენა.

აღუთქვით ერთმანეთს რომ გულის ფიქრს გავაერთებდით, და ჩვენი სული ერთ სახეობად იქცეოდა—სამარადისოდ.

ეს ისეთი ოცნებაა, რომელიც თავისებურს არას შეიცავს, გარდა იმისა, რომ ყველა ადამიანებს გამოუცდიათ იგი, მაგრამ ერთხელაც კი არავის აუსრულებია.

თქვენ დაიქანცეთ და საღამოთი ყავახანაში შესვლა მოიწადინეთ. ჩვენც შევედით და ერთ კუთხეში მოვიკალათეთ.



ადრიანოპოლი და გამოჩენილი მეჩეთი სულთან სელიმ მე-II-სა.

აღბად ღარიბების ავლა-დიდება ამ ყავახანის გასამშენებლად მოუხმარიათ!

— „რა ლამაზია და მომხიბლველი, მაგრამ ჩვენისთანა ლატაკებს აქ ხომ ადგილი არ ექნებათ!—ამბობენ 7 წლის ბავშვის მერცხალივით მკვირცხლი თვალები“. პაწია ბაღის თვალები კი განცვიფრებას გამოჰხატავდენ.

სიმღერებში გამიგონია რომ ყოველი დატკობა გულს ალობს, სულს ჯამშვიდებს. ეს თქმულება ამ საღამოს ამიხდა.

ამ ღმობიერმა თვალებმა ისე მომაჯადოვა რომ შემრცხვა: ჩვენ იმდენი ჭიქები გვედგა წინ, რაც ჩვენ წყურვილსაც კი აღემატებოდა. იმათ კი...

იმ წამს შენ ლურჯ თვალეში ჩავიხედე, ჩემო ძვირფასო, რომ მათ სიღრმეში შეპოვნა ჩემი გულისთქმის გამოძახილი.

მაგრამ.. მოგტყუვდი.

„უჰ, რა საძაგელია ეს შურით აღსავსე თვალები! როგორ ღია ჭიშკარსავით შემოგვეყურებენ... საძაგელნი!“

აი რა ამოვიკითხე მაშინ შენ თვალეში.

ასე ძნელია, ჩემო კარგო, ერთი მეორის გაგება. განა შეიძლება მას შემდეგ ორ სულთა შორის ჰარმონია სუფევდეს, მაშინ როდესაც ორ შეყვარებულ ადამიანის შორისაც არ სუფევს იგი!

ნუ თუ ახლაც გიკვირს, რათ არ მიყვარხარ?

VII
ვენერა და ოხუნჯი.

რა თვალ-წარმტაცი დღეა! თვალუწვდენი ბალი ისე კრთება ცხოველ მზის კაშკაშზე, როგორც ჭაბუკი საყვარლის ეშხით. არაფერი არ არღვევს ბუნების საერთო ექსტაზს. მეც მგონია, რომ სინათლე იზდება, სხივი კაშკაშებს ხასხასა ბალახზე. ყვავილებს აღმური ასდის, თითქოს ფერადთა უცხო ნაქარგით თვით ზეცის გუმბათს ეტოქებოდეს. ღამე პაპანებაშა

ყვავილთა მუშაკმბარი ვნების კომლად ერთვის აბრეშუმის ღრუბელთა გაბნეულ ნაფლეთებს. მაგრამ ამ საერთო ზეიმში მხოლოდ ერთი ტანჯული არსება ვიხილე.

ღვთაებრივ ვენერის მარმარილოს ქანდაკების წინ, წინ-წილით იდგა ერთი იმ მასხარათაგანი, რომელნიც თითქოს იმისთვის გაუჩენია ბუნებას, რომ შეფეხები არ მოაწყინონ. იგი წელში მოხრილი იდგა ქანდაკების წინ და ცრემლ-მორეულ თვალით მიშტერებოდა ღვთაებრივჭსახეს.

„მე ხომ ბუნებისაგან დასჯილი, კაცთაგან მიტოვებული არსება ვარ, მაგრამ მეცა ვსტკბები შენის ღვთაებრივ მშვენიერებით, მეც მესმის შენი უკვლავი შვენიერება, ჰოი ღმერთ-ქალო! ისმინე ჩემი მწარე ხვედრი—ისმინე ჩემი სიგიჟე. მარმარილოს ღმერთი კი ცივად გასცქეროდა სივრცეს.

კ. აბაშიძის პირელი.



ფიქრები

(მელანხოლია).

I

შემოდგომა...
ფოთლები ცვივა...
მცენარეები ქვება...
წალკოტი ხრიოკდება...
მიდიან, ყველანი სადღაც მიდიან... არც ერთი რიგიანი ფრინველი აღარა რჩება, უცხოეთის თბილ ქვეყნებისკენ გუნდგუნდათ მიემგზავრებიან...
წეროები რაზმ დაწყობით მიემართებიან და შორად შორს, გაცრეცილ ცის სივრცეში, იკარგებიან...

ასე მგონია, გზა აერევათ, კვალს დაჰკარგავენ, ყველანი ზღვაში დაიღუპებიან და ვერც ერთი მათგანი ველარ დაბრუნდება მეთქი...

რად მოაქვს შემოდგომას ასეთი ფიქრიანი და მოსაბეზრებელი ღღერები, რად?!..

II

ვზივარ მოწყენილ ოთახის ფანჯარასთან და გულ-დახურული, დაყურსებით გავყურებ გაძარცულ არე-მარეს...

სად წავიდე?..
რა ვქნა?..
ვის მივმართო?..
რა ვაკეთო?..
არ ვიცი, არა!..
ოჰ, რა გულის მომწყველია ეს შემოდგომის მკრთალი ერთფეროვნება...
რა აუტანელი და მოსაწყენია მარტოობა...
ირგვლივ სიცარიელე მყარდება!..

ცივა...
არავის არ ველი...
ბუნებასთან ერთად მეც სევდით ვიმოსები, ვობლდები...
ვინ მოსთვლის რა შავ-ფიქრებს არ ავიშლის, რა ღრმა ტკივილს არ გაგრძნობინებს თვითეულ ჩამოვარდნილ, გამხმარ ფოთოლის შრიალი.


ქარის ველური ხმა, ხან გველის წივილს მაგონებს, ხან ადამიანის კვნესას...

— ზზზ!.. სსსს!.. გულსაკლავად უსტვენს და ზუზუნებს შიშველ მიდამოში გაქრილი, ავსულივით მონავარდე, სასტიკი ქარი...

— ჟივ, ჟივ, ჟივ!.. ჩივიან ბელურები და სიცვიისაგან მოკუმშულნი ხის ძირად დაქუჩებულ ფოთლებში ძვრებიან...

— ყვააა! ყვააა! ყვააა!— ისმის ხეებზე შეფენილ ქილყვაების ჩხავილი და გლოვის ხმასავით ეფინება გაყრუებულ მიდამოს...

ბალკანეთის რუისწავაშ.



სალონიკი. ანტიური სვეტი ალექსანდრე მაკედონელის საზეიმო ბქისა.



ოსმალეთის სიმაგრე—სკუტარის აღება ჩერნოგორელების მიერ.

შემოდგომავე, გულ-ცივო და ჟინჯლიანო, შემოდგომავე! ნუ თუ შენა ხარ ის, ვინც ასე საფლავისებური სიცარიელით ეუფლა ჩემს უთვისო სულს, ნუ თუ?..

III

— წკაპ-წკუპ! წკაპ - წკუპ!.. ისმის გარედან წვიმის კაეშნიანი მგლოდია და ისედაც დაღონებულ სულს, უფრო მიწაღვლიანებს...

ვღგვევარ ერთ ადგილს, მოქუშული სახით მივჩერებივარ უფერულ ცას, უფოთლო ბაღს, დაცარიელებულ ქუჩებს...

გუშინ-ღამ ჩვენს სტუმართ მოყვარე საზოგადოებას ვეწვიე...

გავერთობი მეთქი, მაგრამ თქვენს მტერსა და ღუშმანს რაც მე იქ გავერთე...

ნეტამც ფეხი მომტეხოდა, რომ იქ არ წავხირებულიყავი...

— ჭორი, ქება, დაციწვა, ლანძღვა, ლაქიობა, თვალოთ მაქცობა, უაზრობა, ამბარტავენობა, ფუქსავატობა, ფარი-სეველობა... და...

გული მომიკვდა...
ნუ თუ ესენი არიან მარილნი ჩვენის ქვეყნისა?!..

ნუ თუ ვისმეს რამე იმედი აქვს ამ „ინტელიგენტურ საზოგადოებისა“.

ნუ თუ?!..
გულ-უბრყვილონი!..

IV

— თქვენ, ბატონო ჩემო, ძალიან გაუბრით ჩვენს მოწინავე განათლებულ საზოგადოებას—მომმართა ერთმა ახალგაზდა უღვაშებ გაპარსულმა ნაცნობმა ჟურნალისტმა.

— სცდებით! გასაქცევი რა მაქვს. მხოლოდ ვერიდები...
— რადა?

— ისე! არ მომწონს! ვერ ვეგუებო!..
— ნუ თუ დემოკრატიაში უფრო მეტ სიამოვნებასა ჰპოვებთ ვიდრე ჩვენში, ჰა?

— გამარჯვება შენი, შალვა!—გააწყვეტინა სიტყვა ჩემს მოსაუბრეს ახლად შემოსწრებულმა უცნობმა და ხელი გამოუწოდა.

— ოჰ, გაგიმარჯოს!.. სხვა რასა იქ, კაცო, როგორ გიკითხო!

— გმადლობ!..
 — კოწია! იცნობთ! — ჰკითხა ჩემზე...
 — არა!
 — ობოლაძე.
 — უსტვინაძე! — გამეცნო იგი და დავსხედით.
 მინდოდა შემთხვევით მესარგებლნა და თავი დამეღწინა ამ არა სასიამოვნო მდგომარეობისაგან, რომ ვილაღ ქარაფ-
 შუტა ნაცნობთაგანმა წამავლო ხელი და, — მშვიდობით ჩემო
 გონების მოსვენებაზე.
 ლაქლაქებს და ლაყლაყებს, ლაყლაყებს და ლაქლაქებს!..
 გადამეკიდა...
 თავი ამატკივა...
 მეტი რა შემეძლო, უნდა მეთმინა და მესმინა... ყოველ
 სიტყვაზე თავს უკანტურებდი, ვსდუმდი, ეგება ღმერთი გაუწ-
 ყრეს, გაჩუმდეს მეთქი, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ, გრა-
 მოფონივით იყო მომართული.

V

გაისმა როიალის ზე-აღმტაცი ხმა...
 სინამდვილის ნანგრევებზე აღიმართა სული ჩემი...
 რამდენადაც სრულყოფას ვგრძნობდი, იმდენად უფ-
 რო მეტს, უფრო უარესს, სიობლეს განვიციდდი მათ შორის,
 ვიდრე მარტოობაში...
 ის კი განაგრძობდა ყბედობას...
 უსულ-გულს სიცილ-კისკისზე, მეტირებოდა, ცრემლით
 მეგსებოდა თვალები...
 ველარ ავიტანე...
 დავიხურე ქუდი და ოთახიდან გიჟივით გამოვვარდი ქუ-
 ჩაში.
 შევდექი...
 დიდხანს, ძალიან დიდხანს, უგდებდი ყურს როიალის
 ხმას...
 რა საიდუმლო, რა დამაღონებელ მწარ-ტკბილ სიამოვ-
 ნებას განაცდევინებს ადამიანს მუსიკა! გზიბლავს, გატყვე-
 ვებს... ყველაფერს გავიწყებს...
 მიჰქრისხარ სადღაც შორს, შორს, მთას იქით, ზღვის გა-
 დაღმა, დაუსრულებლობისაკენ და ეძიებ, ეძიებ რაღაცას
 დაუკარგველსა და უპოვნელს...
 მისწყდა ხმა... შევარდენივით ფრთებ შეკვეცილი, ეშვები
 ისევ დაბლა, ძირს, სულ ძირს, სინამდვილის უფსკრულში...
 ყველაფერი ჰქრება...
 ერკვევი, ჩვეულებრივ სახეს ღებულობ... გგონია ჰაე-
 როვან სიხმართა ქსელში იყავი გახვეული... აღარაფერი გახ-
 სოვს... ვანცდილ ნეტარების ნასახიცი კი წარხოცილა...
 შესწყდა აკორდი!..
 მწვერვალზე მყოფი ოცნება დაბლა ეშვება და ქვითი-
 ნებს, ქვითინებს ბედნიერების ხან მოკლეობას, უბედურობის
 დაუსრულებლობას, ტანჯვათა მარადისობას.

VI

ბევრი წანწალის შემდეგ ქუჩიდან ისევ ოთახს დაუბ-
 რუნდი...
 მშიოდა...
 არც ერთი გროში არ მომეპოვებოდა...
 სიცივე ხომ სიმწარისაგან მალრინებდა...
 გადავწყვიტე წერით გავრთობილიყავ...
 მაგიდასთან ჩაფიქრებული ვზივარ.
 აზრი ჩლუნგდება...
 ხელი ველარა მოძრაობს...
 მუზამაც მიმივიწყა; ალბად იმასაც მოსწყინდა სიღარი-
 ბეში ყოფნა. ან კი რა გააძლებინებს ასეთ სიცივეში...
 — ეჰ, რა გეწერება, თუ ღმერთი გწამს!.. მე ვიცი, ჩვე-
 ნი რედაქციები ხვალვე ჰონორარად ხუთ თუმანს მოგართმე-
 ვენ და გეტყვიან: აი, ბატონო ჩემო, ეს ფული, ნუ დაგვემ-
 დურებით, მეტი არ შემოგვსვლია, დანარჩენ ხუთ თუმანსაც
 ჩვენის ხელით გაახლეებთ თქვენს ბინაზეო...
 კალამი კედელსა ვთხლიშე და შიმშილ-სიცივისაგან აძაგ-
 ძაგებულმა, ლასლასით გამოვალე დანჯღრეულ პატარა შკა-
 ფის კარი.

თუმცა შიგ არაფერი მეგულებოდა, მაგრამ შექნება! შექნება!
 რის ხმელი ნამტვრევი მაინც ეგდოს და შევექცე, ვეგბ
 ჩემს კუქს პატრონი მკვდარი არ ეგონოს, სამუდამოდ წარ მო-
 მეშალოს და არ გამომიგლოვოს მეთქი...
 თუ რამე ნამტვრევი დარჩენილიყო ისიც თავგებს და-
 ეხრათ...
 ამოვიოხრე...
 გამოვბრუნდი...
 ფანჯარასთან მიველ...
 ჯავრისაგან თავმა ტკივილი დამიწყა...
 კარგია, ძალიან კარგია...
 სიცხეს მომცემს...
 აღარ შემცივა...
 მაღაც დამეკარგება...

VII

გახურებული შუბლი ფანჯრის ცივ მინას მივაყრდენე...
 ფიქრი, სულ ფიქრი!..
 რად მიყვარს ასე გაგიჟებით ეს შეუწყვეტელი ფერად-
 ფერადი ფიქრები, რად?!..
 ისე შევეთვისე ამ ჩემს უცვლელ თანამგზავრებს, რომ
 უმათოდ გაძლებაც კი არ შემიძლიან...
 ალბად ამიტომ თუ არა მშორდებიან...
 მისთვის, თუ დამდევენ თან...
 ალბად!.. ალბად!..

VIII

ღრუბლები!..
 გაცრეცილი ღრუბლები!..
 რა შეწუხებულ სულივით დაწრწიან...
 მიყვარს ისინი!.. მიყვარს!..
 ბევრი, ძალიან ბევრი რამა გვაქვს საერთო...
 ბევრი ერთნაირი თვისება ჩვენში...
 აგერ, აგერ!..
 თვალთა წინაშე მისცურავენ...
 მიდიან უხმოდ, უსიტყვოდ...
 სად, ან რად მიდიან ღრუბლები?.. რა ვიცი... თითონაც
 ვერ გიპასუხებენ ამ კითხვაზე...
 საცოდავი!.. ის ერთი როგორ ჩამორჩენიათ, როგორ
 ობოლვით მარტოდ მარტო მიემართება... რა გაცრეცი-
 ლი და ფერმიხდილია!..
 ღრუბელო, ჩემო სულის სწორო, ღრუბელო! რა დაგმარ-
 თენია, რა, ჩემო კარგო, ჩემო საალერსოვ!.. ავადა ხარ?
 ღრუბლებო, საყვარელო ღრუბლებო!.. მითხარით,
 თქვენს ლხენას, საითკენ მიმემგზავრებით, საით!..
 ეჰ, რადა მგონია რადა, რომ ღრუბლები, უმიწაწყლო,
 ყველასაგან დევნილი ებრაელობაა...
 რა იყო, რა ჩემო ფერმკრთალო! დაგარბიეს? დაგაწიო-
 კეს?...
 საზიზღარი, ბოროტი ქარი?... არსად არ ასვენებს, არსად
 არ აყენებს საბრალო ღრუბელს... სადმე ყრუ ხევში თუ ჩაი-
 პარება და იქ შეისვენებს, იქ გამოიტირებს თავის უმწეობას,
 ქარისაგან დევნასა და დაუსრულებელ წანწალ-ნეტიალს,
 თორემ სხვაგან სად შეაფარებს, სად დაიდებს მყუდროსა და
 მუდმივ ბინას, სად?!..
 ეჰ!..
 ავადა ვარ, ავად...
 აღარა მშიან...
 აღარცა მცივა...
 დაღამდა...
 მთელი დღე მარტოდ გავატარე...
 არავის მოვგონებია...
 სანთლის ნამწვიც აღარ მაქვს...
 სინელეში ვწვევარ გულ-აღმა და ვბოდავ...
 აღონაის, აღონაის! შენ გამითენე მშვიდობის დილა..

გ. ქუჩიშვილი.

